საქართველოს კონკურენციისა
და მომხმარებლის
დაცვის სააგენტო

N 04/439
20.05.2024

ბრძანება

439-01-4-202405201602

სსიპ - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს თანამშრომლისთვის ცალკეული მოვალეობის დაკისრების შესახებ

"პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლის პირველი პუნქტისა და მე-3 პუნქტის, „კონკურენციის შესახებ" საქართველოს კანონის 17[1] მუხლის მე-4 პუნქტის, „საჯარო სამართლის იურიდიული პირის - საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2014 წლის 14 აპრილის N288 დადგენილებით დამტკიცებული დებულების მე-4 მუხლის მე-4 პუნქტის „ე" ქვეპუნქტის საფუძველზე

ვბრძანებ:

1. სსიპ საქართველოს კონკურენციისა და მომხმარებლის დაცვის სააგენტოს (შემდგომში - სააგენტო) თავმჯდომარის თანაშემწეს ნანო ცირეკიძეს (პ/ნ: 60001151510), ძირითად მოვალეობებთან შეთავსებით, დაეკისროს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ" საქართველოს კანონის 33-ე მუხლით გათვალისწინებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქცია.

2. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია წინამდებარე აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გაეგზავნოს პერსონალურ მონაცემთა დაცვის სამსახურს.

3. პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ვინაობა და საკონტაქტო ინფორმაცია წინამდებარე აქტის ხელმოწერიდან 10 სამუშაო დღის ვადაში გამოქვეყნდეს სააგენტოს ოფიციალურ ვებგვერდზე.

4. წინამდებარე აქტი ძალაში შედის მისი ხელმოწერისთანავე.

ირაკლი ლექვინაძე

თავმჯდომარე